განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**
სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერია

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი - 12 დეკემბერი 2019 წ

საბოლოო დასკვნის წარდგენის თარიღი - 19.02. 2020 წ

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211349192 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერია |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი, 0721 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | რეაკრედიტაცია |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლევან გულუა, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამარ სანიკიძე, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამარ ხატისაშვილი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

პროგრამა ხორციელდება ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე. სასურსათო ტექნოლოგიის სპეციალისტების მომზადება ამ ფაკულტეტზე დაიწყო 1956 წელს. 1974 წელს შეწყდა და 1991 წელს კი კვლავ განახლდა. თუმცა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია ბოლო დრომდე იყო „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის ბაკალავრი". ამჟამად, აღნიშნული პროგრამის ბაზაზე პროგრამა წარმოდგენილია „სასურსათო ტექნოლოგიის" ბაკალავრის კვალიფიკაციაზე. პროგრამაში ჩართულია 62 ადამიანი, მათ შორის 22 აფილირებული პროფესორი, 22 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 5 ასისტენტ პროფესორი, 1 ასისტენტი, 5 მოწვეული პროფესორი, 7 მოწვეული ასოცირებული პროფესორი. 20 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალია.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ვიზიტი განხორციელდა 2019 წ 12 დეკემბერს. ექსპერტთა ჯგუფში მონაწილეობდნენ: ლევან გულუა (თავმჯდომარე), თამარ სანიკიძე (წევრი), თამარ ხასიტაშვილი (წევრი). ვიზიტის დროს ექსპერტები შეხვდნენ ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, ხარისხის ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს. ვიზიტი განხორციელდა აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა უსდ-ს წარმომადგენლებს და პროგრამის ხელმძღვანელებს, გაუზიარა რჩევები და გააცნო ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
2. ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
4. მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
5. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1. შეიცვალოს მისანიჭებელი კვალიფიკაცია და ჩამოყალიბდეს როგორც „სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი
2. საწარმოო პრაქტიკა ჩატარდეს რეალური შინაარსით და დაინერგოს საწარმოო პრაქტიკის შედეგების შეფასების ქმედითი მექანიზმი
3. მოწესრიდგეს საწარმოო პრაქტიკის ამსახველი დღიურების წარმოების პროცესი

4. კერძო სასურსათო პროდუქტების (პური, საკონდიტრო, ხორცი, რძე და სხვა) ინჟინერია და დაპროექტების საფუძვლების ნაცვლად ისწავლებოდეს ზოგადი საგანი: „კვების საწარმოთა დაპროექტების საფუძვლები“.
5. გაძლიერდეს სტუდენტთა ჩართვა პრაქტიკულ, სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში არსებული ინფრასტუქტურის ფარგლებში
6. საწარმოო პრაქტიკები ჩატარდეს სტუდენტთა აქტიური ჩართულობით წარმოების პროცესში
7. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი დაიგეგმოს პროგრამის სწავლების შედეგების შესაბამისად
8. უნივერსიტეტში შეიქმნას სათანადო ინფრასტრუქტურა, რათა სტუდენტებს საშუალება ქონდეთ, რომ ჩაერთონ პრაქტიკულ და კვლევით საქმიანობაში.
9. კურიკულუმს დაემატოს საგანი „ზოგადი ბიოლოგია“
10. პროგრამის ხელმძღვანელი უფრო აქტიურად ჩაერთოს სხვადასხვა საგნის სილაბუსის შემუშავებასა და რედაქტირებაში.
11. გაძლიერდეს სტუდენტთა მონაწილეობა პრაქტიკულ, სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში
12. გაძლიერდეს ლაბორატორიული მეცადინეობების წილი სილაბუსებში
13. ზოგადი მიკრობიოლოგიის ლექტორად მოწვეულ იქნას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგი.
14. მნიშვნელოვნად განახლდეს და გაძლიერდეს ლაბორატორიების აღჭურვილობა.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. დაკონკრეტდეს პროგრამის მიზნების ფორმულირება
2. სილაბუსებში გამოყენებულ იქნას თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა
3. სასურველია პედაგოგებმა გამოაქვეყნონ სამეცნიერო ნაშრომები უცხურ რეფერირებად ჟურნალებში
4. დაიხვეწოს აპელაციის მექანიზმი და მისი გაცნობა სტუდენტებისა და პედაგოგებისათვის
5. სტუდენტები ჩაერთონ საერთაშორისო პროექტებში, მათ შორის პრაქტიკებსა და გაცვლით პროგრამებში.
6. დაინერგოს ტუტორის ინსტიტუტი, რომლის ფუნქციას წარმოადგენს სტუდენტების დახმარება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებაში და ასევე ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გამოკითხვის ორგანიზება, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით.
7. გაძლიერდეს ინგლისური ენის სწავლება.
8. გამოქვეყნდეს სტატიები უცხოურ რეფერირებად ჟურნალებში.
9. დეტალურად გაიწეროს განვითარების ფონდის ხარჯები.
10. გამოკითხვები ჩატარდეს ელექტრონულად.
11. პროგრამის გარე შეფასებისთვის გამოყენებულ იქნას საერთაშორისო გამოხმაურებები.
12. სასურველია მოხდეს პროგრამის შედარებითი ანალიზი საერთაშორისოდ აღიარებული უნივერსტეტების ანალოგიურ პროგრამებთან.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ როგორც ფაკულტეტის ლოკალური, ასევე ცენტრალური ბიბლიოთეკით, რომელიც მაქსიმალურად კეთილმოწყობილია და სტუდენტებს უზრუნველყოფს როგორც სავალდებულო სასწავლო, ასევე დამატებითი ლიტერატურით. ბიბლიოთეკას აქვს წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებთან.

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად  ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამის აქტუალობას განაპირობებს ჩვენს ქვეყანაში სასურსათო ტექნოლოგიის კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა. დასახული მიზნები შეესაბამება დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს და მიღწევადია. პროგრამის შედგენის პროცესში მონაწილეობდნენ დამსაქმებლები. მათთან თანამშრომლობით ჩამოყალიბებული იქნა შესაბამისი მისაღწევი სწავლის შედეგები. საკრედიტაციოდ წარდგენილი პროგრამა შესაბამისობაშია ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დებულებით განსაზღვრულ მიზნებთან, ამოცანებთან და საქმიანობის ძირითად მიმართულებებთან. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული და მეტ-ნაკლებად ნათლად არის ჩამოყალიბებული. თუმცა, თვითშეფასებასა და პროგრამაში ვკითხულობთ, რომ  საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მისცეს სტუდენტებს ფართო განათლება ზუსტ, საბუნებისმეტყველო, ზოგად საინჟინრო და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. ჩვენი აზრით, მოცემული ფორმულირება ძალიან ზოგადია - არ შეიძლება პროგრამის მიზანი იყოს ყველა მეცნიერებაში ფართო განათლების მიცემა. თუმცა, შემდეგ ფრაზებში გარკვეული დაკონკრეტება არის მოცემული : (პროგრამის მიზანია) სტუდენტს მისცეს ზოგადი ცოდნა სურსათის წარმოების ინჟინერიის ისეთ სფეროში, როგორიცაა პურპროდუქტების, საკონდიტრო პროდუქტების, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების, ხორცისა და რძის პროდუქტების, საკონსერვო წარმოების, შაქრის წარმოების ინჟინერია და ა.შ.<br>საერთო ჯამში, პროგრამის მიზნები აქტუალურია და შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს საქართველოში. |

| |
|---|
| |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ თვითშეფასების დოკუმენტი<br>○ ინტერვიუ |
| რეკომენდაციები:<br><br>არ არის<br><br>○ |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>○ დაკონკრეტდეს პროგრამის მიზნების ფორმულირება |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უსდ-ს სათანადო დოკუმენტებით განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს თითოეული სწავლის შედეგის დაგეგმვის, შეფასების, ანალიზის, პერიოდული მონიტორინგის და განვითარების მეთოდებს და მიდგომებს. პროგრამაში და სილაბუსებში აღწერილია თუ რა ცოდნას, პრაქტიკულ უნარებსა და/ან პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას შეიძენს სტუდენტი მოცემული პროგრამის დასრულების შემდეგ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენს მიერ ჩატარებული ინტერვიუების დროს ინტერვიუერებმა ვერ გაიხსენეს თუნდაც ერთი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტი იმისა, რომ გამოვლინდა ესა თუ ის ნაკლი სწავლების პროცესში, რომელიც მერე გამოსწორდა. აღსანიშნავია, რომ საწარმოო პრაქტიკის ამსახველი დღიურები, რაც ჩვენ ვნახეთ, ვერ გადმოსცემს სტუდენტის მიერ შეძენილ პრაქტიკულ უნარებს და შეუძლებელია სწავლის შედეგების ამ კომპონენტის შეფასება ამ დღიურების მიხედვით. თუმცა, თვითშეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სტუდენტმა უნდა აწარმოოს ყოველდღიურად ჩატარებული აქტივობების შესახებ ჩანაწერები (ხელით) პრაქტიკის დღიურში, აღწეროს შესრულებული სამუშაოები და ის სიახლეები, რომლებსაც გაეცნო პრაქტიკის მიმდინარეობისას, ჩაინიშნოს საჭირო მონაცემები, დააფიქსიროს მიღწეული შედეგები და სხვ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების დოკუმენტი
- ინტერვიუ
- საწარმოო პრაქტიკის დღიურები

**რეკომენდაციები:**

| |
|---|
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები<br><br>- მოწესრიდგეს საწარმოო პრაქტიკის ამსახველი დღიურების წარმოების პროცესი<br>- დაინერგოს საწარმოო პრაქტიკის შედეგების შეფასების ქმედითი მექანიზმი |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>**არ არის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u><br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან | X | | | |

| პროგრამის შესაბამისობა | | | | |
|---|---|---|---|---|

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>○ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების თანახმად ,,ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. დამატებითი ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ შესაძლებელია დაინტერესებულმა პირმა მოიპოვოს სათანადო პასუხისმგებელი პირისაგან, რომლის საკონტაქტო ინფორმაცია მითითებულია ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ვებ გვერდზე.<br>○ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;<br>○ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ თვითშეფასების დოკუმენტი<br>○ ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>**არ არის**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |

| |
|---|
| არ არის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, პროგრამის ხანგრძლივობაა 240 კრედიტი (8 სემესტრი). ერთი კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის საგნობრივ დატვირთვაში;<br><br>საგანმანათლებლო პროგრამა ECTS კრედიტი:<br><br>სავალდებულო სასწავლო კურსები 207 |

| |
|---|
| თავისუფალი კომპონენტები 23<br>საწარმოო პრაქტიკა 5<br>საბაკალავრო ნაშრომი 5<br>თვითშეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ: ფუნდამენტურ საგნებს (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) ეთმობა 60 კრედიტი. თუმცა, სინამდვილეში ბიოლოგია საერთოდ არ ისწავლება მოცემული პროგრამით, რაც, ჩვენი აზრით, არასწორია. ამის გამო დარღვეულია ზოგადი მიკრობიოლოგიაზე დაშვების წინა პირობა - პრერეკვიზიტებად მოთხოვნილია ორგანული ქიმია და კოლოიდური ქიმია.<br>არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად სხვადასხვა კერძო სასურსათო პროდუქტების (პური, საკონდიტრო, ხორცი, რძე და სხვა) ინჟინერია და დაპროექტების საფუძვლები ისწავლებოდეს ცალ-ცალკე საგნებად, უმჯობესია იყოს ზოგადი საგანი: „კვების საწარმოთა დაპროექტების საფუძვლები“. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ სილაბუსები;<br>○ კურიკულუმის რუკა;<br>○ თვითშეფასების დოკუმენტი;<br>○ ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br>• კერძო სასურსათო პროდუქტების (პური, საკონდიტრო, ხორცი, რძე და სხვა) ინჟინერია და დაპროექტების საფუძვლების ნაცვლად ისწავლებოდეს ზოგადი საგანი: „კვების საწარმოთა დაპროექტების საფუძვლები“.<br>• კურიკულუმს დაემატოს საგანი „ზოგადი ბიოლოგია“ |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

| |
|---|
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u><br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>○ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.  კურიკულუმში მოცემულია სწავლის შედეგების რუკა. სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალის უმეტესობა წარმოადგენს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ 2010-2018 წლებში გამოცემულ სახელმძღვანელოებს, დამხმარე სახელმძღვანელოებს და სალექციო კურსებს. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია გარკვეული ნაკლოვანებებიც:<br>○ სილაბუსებში გამოყენებულ ლიტერატურაში არ არის საკმარისად ინგლისურენოვანი თანამედროვე მასალა.<br>○ მიკრობიოლოგიის სილაბუსში არ არის გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოები, ასევე ეს კურსი მოიცავს კერძო მიკრობიოლოგიის ( რძე, ხორცი და სხვა) საკითხებს, რაც ზოგადი მიკრობიოლოგიის საგანს არ წარმოადგენს და სასურველია ისწავლებოდეს ცალკე<br>○ თერმოდინამიკისა და თბური პროცესების პრერეკვეზიტი არის მათ ანალიზი, უნდა იყოს ზოგადი ფიზიკა/ფიზიკური ქიმია |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>სილაბუსები<br>საგანმანათლებლო პროგრამები |

| |
|---|
| თვითშეფასების დოკუმენტი |
| **რეკომენდაციები:**<br><br>გასწორდეს პრერეკვიზიტები სილაბუსებში<br>მიკრობიოლოგიაში გათვალისწინებულ იქნას ლაბორატორიული სამუშაოები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>სილაბუსებში გამოყენებულ იქნას თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ <u>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u><br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>○ სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ ინფორმაცია თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად; მათთვის ხელმისაწვდომია სათანადო კონსულტაცია და დახმარებას სტუ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან და დეპარტამენტის აკადემიური პერსონალისგან. |

- უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება „სტუდენტური დღეები“; ფუნქციონირებს სპორტული და მხატვრული შემოქმედების წრეები, სტუ-ს თეატრი „მოდი ნახე“
- უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, ფაკულტეტზე ტარდება დარგობრივი სემინარები, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ სტუდენტებიც.
- ფაკულტეტზე მოქმედებს საფაკულტეტო საგრანტო საკონკურსო სისტემა, სადაც მონაწილეობისათვის აუცილებელი პირობაა ხელმძღვანელთან ერთად პროექტში ბაკალავრიატის სტუდენტების მონაწილეობა.

თუმცა, გვაქვს გარკვეული შენიშვნებიც:

- გამოვლინდა, რომ საწარმოო პრაქტიკა ძირითადად დათვალიერების ხასიათს ატარებს, რაც აუცილებლად გამოსასწორებელია.
- პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი არ არის ორგანიზებული და დაგეგმილი პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად;
- უნივერსიტეტში არ არის შექმნილი სათანადო ინფრასტრუქტურა, რათა სტუდენტები ჩაერთონ პრაქტიკულ და კვლევით საქმიანობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- პრაქტიკის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- გაძლიერდეს სტუდენტთა ჩართვა პრაქტიკულ, სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში
- საწარმოო პრაქტიკები ჩატარდეს სტუდენტთა აქტიური ჩართულობით წარმოების პროცესში
- პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი დაიგეგმოს პროგრამის სწავლების შედეგების შესაბამისად
- უნივერსიტეტში შეიქმნას სათანადო ინფრასტრუქტურა, რათა სტუდენტები ჩაერთონ პრაქტიკულ და კვლევით საქმიანობაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

| |
|---|
| სასურველია პედაგოგებმა გამოაქვეყნონ სამეცნიერო ნაშრომები უცხურ რეფერირებად ჟურნალებში |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ <u>**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u><br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამაში გამოიყენება შემდეგი სწავლების მეთოდები:<br>ლექცია, სემინარი, ლაბორატორიული და პრაქტიკული მუშაობა;<br>სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა;<br>საკურსო სამუშაო/პროექტი;<br>საბაკალავრო ნაშრომი;<br>კონსულტაცია.<br>სილაბუსებში მოცემულია სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი შემდეგი აქტივობები:<br><br>○ სწავლება-სწავლის მეთოდები ძირითადად შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს და ძირითადად უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |

- სასწავლო კურსებში ნაკლებად არის გამოყენებული ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობები
-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სილაბუსები
- ინტერვიუ
- მატერიალური ბაზის დათვალიერება

რეკომენდაციები:

გაძლიერდეს ლაბორატორიული მეცადინეობების წილი სილაბუსებში

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- სტუდენტების შეფასების სისტემა შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სკალით. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომი სტუდენტებისათვის. ცალკეულ შემთხვევებში სტუდენტის შეფასება ხდება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ. სტუდენტებს საშუალება აქვთ ინფორმაცია ცოდნის შეფასების შესახებ მიიღონ უშუალოდ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისაგან და საგნის პედაგოგისგან, ასევე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით. თუმცა, არც სტუდენტები და არც პედაგოგები აპელაციის მექანიზმებს არ იცნობენ საკმარისად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- ინტერვიუები

**რეკომენდაციები:**

**არ არის**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**დაიხვეწოს აპელაციის მექანიზმი და მისი გაცნობა სტუდენტებისა და პედაგოგებისათვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| ○ |
| --- |
| შეფასება<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u><br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| --- | --- | --- | --- | --- |
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | | X | |

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
| --- |
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
